

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი საქართველოში



2018

2018 წლის საპრემიუმენტო არჩევნების
მონიტორინგი საქართველოში



თბილისი, 2018

ანგარიშის ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

თარგმანი: ნინო ტლაშაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org;
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება);

www.omct.org

- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48

ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-პორტალი: www.humanrights.ge; www.hridc.org.



**Norwegian
Helsinki Committee**

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

1. შესავალი	4
2. წინასაარჩევნო პერიოდი.....	5
3. არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგები	9
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	9
გორის მუნიციპალიტეტი.....	15
მარნეულის მუნიციპალიტეტი	20
ახმეტის მუნიციპალიტეტი	24
4. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ძირითადი ტენდენციები.....	25
5. რეკომენდაციები.....	27

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგებს. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მონიტორინგი განახორციელა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები სამ რეგიონში – კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში დააკვირდნენ. მონიტორინგი განხორციელდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 25 დამკვირვებლის მიერ საგარეჯოს და მარნეულის მუნიციპალიტეტების ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, კერძოდ – პანკისის ხეობაში, და გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებში.

სტატიკური დამკვირვებლების გარდა, მონიტორინგს ახორციელებდნენ მობილური ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტგაზეთის – humanrights.ge-ს ჟურნალისტები და ოპერატორები. დღის განმავლობაში დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია ქვეყნდებოდა www.humanrights.ge-ზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე და მიეწოდებოდა სხვადასხვა მედიასაშუალებებს.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიული სტანდარტებით, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად წარმართვის ხელშეწყობა მონიტორინგის გზით. დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ აღმოჩენილი ხარვეზებისა და დარღვევების გაჟღერება და მათი გაანალიზება მნიშვნელოვანია, რათა საარჩევნო პროცესზე პასუხისმგებელმა უწყებებმა, მათ შორის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სრულფასოვნად გაიაზრონ სხვადასხვა პრობლემები და აღმოფხვრან მომავალში.

ანგარიშში თავდაპირველად წარმოდგენილია მოკლე მიმოხილვა 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებზე დაყრდნობით, რადგანაც აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ არ განხორციელებულა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ. შემდგომ კი მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ არჩევნების დღეებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები საგარეჯოს, გორის, მარნეულისა და

ახმეტის მუნიციპალიტეტებში. ანგარიში ბოლოვდება 28 ოქტომბრის არჩევნებზე დაფიქსირებული ძირითადი ტენდენციების აღწერითა და რეკომენდაციებით.

ანგარიშიში წარმოდგენილია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის მონიტორინგის შედეგები

2. წინასაარჩევნო პერიოდი

დისკრედიტაციის კამპანია სამოქალაქო სექტორზე

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით შემამოთხლებელ ტენდენციას წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ განხორციელებული ვერბალური თავდასხმები და მათი დისკრედიტაციის მცდელობა. თავდასხმები გახშირდა აღნიშნული ორგანიზაციების¹ მიერ საარჩევნო გარემოს შესახებ შუალედური შეფასებების გამოქვეყნების შემდეგ². უკიდურესად შემამოთხლებელი იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომელშიც მან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები „ფაშიზმის თანამონაწილედ“ შეარაცხა³. არასამთავრობო ორგანიზაციები ვერბალური თავდასხმის ობიექტები იყვნენ ასევე იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მხრიდან, რის გამოც რამდენიმე წამყვანმა ორგანიზაციამ დატოვა უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა⁴. მმართველი პარტიის წარმომადგენელი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მსგავსმა დამოკიდებულებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მათ მიმართ აგრესიის გაღვივებას საზოგადოებაში, რაც განსაკუთრებით პრობლემატურია წინასაარჩევნო პერიოდში, რადგანაც აღნიშნული

¹ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“.

² „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის“, შუალედური ანგარიში, 2018 წლის ოქტომბერი:

<https://www.transparency.ge/ge/post/administraciuli-resursebis-gamogeneba-2018-clis-sakartvelos-saprezidento-archevnebisvis>

³ ირაკლი კობახიძის განცხადება:

<http://41.ge/new/682-irakli-kobakhidzis-ganckhadeba>

⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ უწყებათაშორისი კომისიის პროტესტის ნიშნად ტოვებს:

<https://www.transparency.ge/ge/post/saertashoriso-gamchviraloba-sakartvelo-ucqebatashoris-komisias-protestis-nishnad-tovebs>

ორგანიზაციები ახორციელებენ მნიშვნელოვან სადამკვირვებლო საქმიანობას და მათთვის ხელშემშლელი პირობები აზიანებს ასევე არჩევნებისათვის სამართლიანი და თავისუფალ გარემოს.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ამომრჩეველთა ზეწოლა და იძულება

ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ასევე ამომრჩევლების შესაძლო ზეწოლისა და იძულების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში წინასაარჩევნო პერიოდში. სადამკვირვებლო ორგანიზაციების ინფორმაციით, სხვადასხვა რეგიონებში საჯარო სამსახურებში და მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ პირებს ხელმძღვანელები აიძულებდნენ მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა სიების შეგროვებას, მათი პირადი ინფორმაციის მითითებით⁵⁻⁶. საჯარო მოხელეები, მათ შორის, მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირები, ტრადიციულად, მრავლად ესწრებოდნენ სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში, რასაც, ხშირად, ადგილი ჰქონდა სამუშაო საათებში. დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები ერთდროულად იღებდნენ შვებულებებს ასეთ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. მაგალითად, ახალციხის მერიის 20-მა თანამშრომელმა ერთდროულად აიღო ერთდღიანი შვებულება, რათა დასწრებოდნენ 3 ოქტომბერს ახალციხეში სალომე ზურაბიშვილთან გამართულ შეხვედრას⁷.

დარღვევები საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში პროფესიული ნიშნით დასანიშნი წევრების პოზიციებზე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი პირების დანიშვნის მცდელობები, რაც ეწინააღმდეგება არსებულ საარჩევნო კანონმდებლობას.

⁵ „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის“, შუალედური ანგარიში, 2018 წლის ოქტომბერი:

<https://www.transparency.ge/ge/post/administraciuli-resursebis-gamoqeneba-2018-clis-sakartvelos-saprezidento-archevnebisvis>

⁶ „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები“, წინასაარჩევნო მონიტორინგის III შუალედური ანგარიში (1 - 24 ოქტომბერი):

<http://www.isfed.ge/main/1426/geo/>

⁷ *ივლე*

ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემატური იყო კრწანისის საარჩევნო ოლქში მომხდარი შემთხვევა, რომელმაც გამოავლინა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბსა და კრწანისის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს შორის შესაძლო შეთანხმება პროფესიული ნიშნით დასანიშნი წევრების თანამდებობებზე „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატების დანიშვნის შესახებ. აღნიშნულ ეჭვს ბადებდა გაერთიანებული ოპოზიციის, „ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი წევრის, ლევან ბეჟაშვილის მიერ გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერი⁸. აღნიშნული ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, დავით ფეტვიანიშვილმა გადადგომის განცხადებით მიმართა ცესკოს და დატოვა დაკავებული თანამდებობა⁹.

წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების მხრიდან ხშირი ადგილი ჰქონდა უკანონო აგიტაციის ფაქტებს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით, სადაც ისინი აზიარებდნენ სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერ მასალას. მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, გორის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ შემთხვევებში, დამრღვევ პირებს არ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, რასაც საფუძვლად ედო ამ პირების მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები¹⁰. წინასაარჩევნო პერიოდში ასევე მრავლად დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც საბიუჯეტო უწყებების, მათ შორის მუნიციპალიტეტების კუთვნილ ოფიციალურ ვებგვერდებსა და „ფეისბუქ“ გვერდებზე ვრცელდებოდა სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი სააგიტაციო მასალა. საარჩევნო კოდექსი კრძალავს სააგიტაციო მიზნებისათვის იმ ორგანიზაციების კუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. აღსანიშნავია, ერთ-ერთ მსგავს ფაქტზე პასუხისმგებელი პირი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად.

⁸ „ჩანაწერი, რომლის თანახმად „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი საარჩევნო ადმინისტრაციებს აკომპლექტებს“- ვიდეოს ლევან ბეჟაშვილი აქვეყნებს:

<https://palitrnews.ge/video/chanatseri-romlis-tanakhmad-kartuli-otsnebis-saarchevno-shtabi-saarchevno-administratsiebs-akomplektebs-videos-levan-bezhashvili-akveqnebs>

⁹ „ცესკომ კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენა“:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/29459682.html>

¹⁰ იგივე

აკრძალული შემოწირულობები

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია „ლუდუშაურისა“ და „ჩაჩავას“ კლინიკებში მომუშავე ექიმების მიერ გაღებულმა შემოწირულობებმა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ექიმებმა ზურაბიშვილს ორი დღის განმავლობაში 100 000 ლარზე მეტი შეწირეს¹¹. ერთ-ერთმა ექიმმა, რომელმაც ზურაბიშვილს სოლიდური თანხა შესწირა, ფეისბუქის საშუალებით განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნა, რომ არ აპირებს ხმა მისცეს საპრემიერენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილს¹². თუმცა, აღნიშნული პოსტი ფეისბუქიდან მალევე წაიშალა. მედიასაშუალებების მიერ ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზოგიერთ ექიმს კლინიკების ადმინისტრაციის მხრიდან დევალათ შემოწირულობების გაღება¹³. ასევე, აღსანიშნავია, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, შემომწირველი ექიმების უმრავლესობას აქვს საბანკო ვალდებულებები და არცერთი მედიკოსის ანგარიშზე დანაზოგი არ ფიქსირდება¹⁴. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოითქვა ეჭვი, რომ, შესაძლოა ადგილი

¹¹ „სალომე ზურაბიშვილს ჩაჩავასა და ლუდუშაურის შვიდმა ექიმმა 154 ათასი ლარი გადაურცხა“:
<https://on.ge/story/28519-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-7-%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90-154-%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90>

¹² „ექიმი, რომელმაც ზურაბიშვილს 20000 ლარი შესწირა, ამბობს, რომ მისი მხარდამჭერი არაა“:
<https://on.ge/story/28605-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA-%E1%83%96%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1-20-000-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%90>

¹³ „სალომე ზურაბიშვილისთვის გადარიცხული თანხები - "კურიერმა" შემომწირველი ექიმების საბანკო ამონაწერები მოიპოვა“:

<http://rustavi2.ge/ka/news/116031>

¹⁴ იგვე

ჰქონდეს არაპირდაპირ, მესამე პირის მეშვეობით განხორციელებულ შემოწირულებას, რაც აკრძალულია საარჩევნო კოდექსით და ითვალისწინებს ჯარიმას შეწირული თანხის ორმაგი ოდენობით¹⁵. აღნიშნულ საქმეს ამჟამად სახელმწიფო აუდიტის სამსახური სწავლობს.

ეუთოს შეფასებები მედიასა და პოლარიზებულ გარემოზე

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეფასებით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანია კონცენტრირებული იყო დაპირისპირებებზე და არა შინაარსობრივ დისკუსიებზე. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ასევე პოლარიზებულ მედია გარემოზე, რომელიც წარმოადგენს მკვეთრად განსხვავებულ პოლიტიკურ დისკურსებსა და ბიზნეს ინტერესებს¹⁶.

3. არჩევნების დღის მონიტორინგის შედეგები

- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

ძირითადი ტენდენციები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მმართველი პარტიის, „ქართული ოცნებისა“ და მის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების გადამეტებული აქტიურობა და მათ მიერ ამომრჩეველთა მობილიზება საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე. რიგ შემთხვევებში, აღნიშნული ქმედებები ატარებდა ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის კონტროლისა და მისი შეზღუდვის ნიშნებს, რაც აკრძალულია საარჩევნო კანონმდებლობით. ამომრჩეველთა მსგავსი მობილიზება ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ დააფიქსირა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ

¹⁵ “სალომე ზურაბიშვილის ზოგიერთი შემოწირულება კითხვებს აჩენს“:

<https://www.transparency.ge/ge/post/salome-zurabishvili-zogierti-shemociruleba-kitxvebs-achens>

¹⁶ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირებლო მისია. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები, 28 ოქტომბერი, 2018 წელი, საქართველო:

<https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/399644?download=true>

სოფლებში გასულ წლებშიც სხვადასხვა არჩევნებზე, მათ შორის, 2016 წლის საპარლამენტო და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.

საგარეჯოს N11 ოლქში, სოფელ იორმულანლოს N42 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში, არაიდენტიფიცირებადი პირები, რომლებიც გამოხატავდნენ მხარდაჭერას „ქართული ოცნების“ მიმართ, კომუნიკაციაში შედიოდნენ ამომრჩევლებთან, ართმევდნენ მათ პირადობის მოწმობებს, ეძებდნენ მათ ერთიან სიებში, პოულობდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ მათ ნომერს ერთიან სიაში. აღნიშნული მოქმედებები ხორციელდებოდა იმ ოთახში, რომელიც განთავსებული იყო საარჩევნო უბნის მიმდებარედ. მსგავსი ფაქტი უბანზე დაფიქსირდა არაერთხელ. მეზობელ N43 უბანზეც იყო მსგავსი მდგომარეობა. უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა პირი გაურკვეველი სიებით ხელში, რომელიც ინიშნავდა უბანზე გამოცხადებული ამომრჩევლების სახელებსა და გვარებს.



არაიდენტიფიცირებადი პირი საგარეჯოს N11 ოლქის, იორმულანლოს N43 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე აღრიცხავს უბანზე მისულ ამომრჩევლებს

ე.წ. აგიტატორები და კოორდინატორები აქტიურობდნენ ასევე დუზაგრამას N38 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, კენჭისყრის შენობის ეზოში, სადაც ისინი ამომრჩევლებს ხვდებოდნენ, ეძებდნენ მათ მონაცემებს სიებში, შემდეგ დანომრილი ფურცლებით უშვებდნენ ან თან მოჰყვებოდნენ უბნის შესასვლელთან.

დუბაგრამას N38 და N39 საარჩევნო უბნებიდან, რომლებიც ერთ შენობაში იყო განთავსებული, უბნის შესასვლელებთან კედელზე გამოკრული ამომრჩეველთა სიები ე.წ. კოორდინატორების მიერ გატანილი იქნა ეზოში. კომისიის თავმჯდომარეების, წევრებისა და დამკვირვებლების ძალისხმევით შედეგად, ამომრჩეველთა სიები დაბრუნებულ იქნა პირვანდელ ადგილზე.

დუბაგრამას N38 უბანზე მოვიდა რამდენიმე ამომრჩეველი, რომელთაც ხელზე აღნიშნებოდათ მარკირების კვალი. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნული პირები უბანზე არ შემოუშვა. საარჩევნო უბნის ეზოში მყოფი ე.წ. აგიტატორები და კოორდინატორები აღშფოთებული მოვიდნენ უბანთან და კომისიის თავმჯდომარისაგან ითხოვდნენ აღნიშნული პირების უბანზე შემოსვლას და მათ მიერ ხმის მიცემას. ისინი მარკირების კვალს ხსნიდნენ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მიზეზებით.

პარტიის მხარდამჭერთა მიერ მსგავსი სახის ორგანიზებული მუშაობა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელს უშლის ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენას. ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა წარმოადგენს საარჩევნო კოდექსით დადგენილ არჩევნების ჩატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. აღნიშნული პრინციპის თანახმად, აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩეველის ნების თავისუფალ გამოვლენას და წარმოადგენს კონტროლს ამომრჩეველის ნების გამოვლენაზე¹⁷. თუმცა, კოდექსი ზუსტად არ განმარტავს, თუ რა სახის ქმედებები შესაძლოა წარმოადგინდეს აღნიშნულ ქმედებებს. ამომრჩეველთა აქტიური მობილიზების ფაქტები, რომელიც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, არღვევს ამომრჩეველის ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპს და ატარებს ამომრჩეველის ნების გამოვლენის კონტროლის ნიშნებს. როდესაც ამომრჩეველს მოუწოდებენ კონკრეტულ კანდიდატს მისცეს ხმა, აღრიცხავენ მის სახელსა და გვარს კონკრეტულ სიებში, ართმევენ მათ პირადობის მოწმობას და ეძებენ მათ რიგით ნომერს ერთიან სიაში, ამომრჩეველს შესაძლოა გაუჩნდეს განცდა, რომ მისი მოქმედებები კონტროლდება. მსგავსი სახის ორგანიზებული კონტროლის პირობებში კი ამომრჩეველს შესაძლოა გაუჩნდეს შიში, რომ მის მიერ დაფიქსირებული ხმა შესაძლოა მოწმდებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირებულ შემთხვევებში, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები ცალსახად

¹⁷ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3, ქვეპუნქტი დ (ბ):
<http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi>

გამორიცხავდნენ უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნებისმიერ ფაქტზე რეაგირების შესაძლებლობას. მათი განცხადებით, აღნიშნული არ წარმოადგენს მათი რეაგირების საგანს. მსგავსი დამოკიდებულება ხელს არ უწყობს ჯანსაღ და მშვიდობიან გარემოში არჩევნების ჩატარებას. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა უნდა გამოიყენონ კანონით მინიჭებული აღნიშნული შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახონ პოლიცია, როდესაც უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე სახეზე გვაქვს ქმედებები, რომელიც შეიცავს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზემოქმედების ნიშნებს და საფრთხეს უქმნის არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარებას.

იქიდან გამომდინარე, რომ კომისიის თავმჯდომარეს სხვა ფუნქციებთან ერთად გაუჭირდება უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ფაქტებზე თვალყურის დევნა, რეაგირება და გადამისამართება შესაბამისი ორგანოებისათვის, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები შევიდეს საარჩევნო კოდექსში და აღნიშნული მოვალეობის შესრულების მიზნით განისაზღვროს კონკრეტული პოზიცია საუბნო საარჩევნო კომისიებში. აღნიშნულ პოზიციაზე მყოფმა პირმა, უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის განმარტება და მანძილი უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული, რეაგირება უნდა მოახდინოს ისეთ ქმედებებზე, რომელიც წარმოადგენს ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვასა და მის კონტროლს. მოქალაქეთა დაუმორჩილებლობისა და დარღვევების შემთხვევაში კი გამოიძახოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კანონით აიკრძალოს უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაცია და ზემოაღნიშნულ პოზიციაზე მყოფ პირს ასევე დაევალოს მსგავს შემთხვევებზეც შესაბამისი რეაგირება. აღნიშნულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე კი კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს შესაბამისი სანქცია, რასაც შესაძლოა წარმოადგენდეს ჯარიმა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების, აკრძალვებისა და სანქციების შემოღება ხელს შეუწყობს მსგავსი ქმედებების მომავალში პრევენციას და არჩევნების ჩატარებას ჯანსაღ, თავისუფალ და სამართლიან გარემოში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ასევე კომისიის წევრთა მიერ საარჩევნო პროცედურებისა და წესების არცოდნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის თავმჯდომარეები ითვალისწინებდნენ დამკვირვებლების მითითებებს და უმეტესწილად, ასწორებდნენ ხარვეზებს. თუმცა, დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ისინი აგრესიულად იყვნენ განწყობილნი, რაც ხელს უშლიდა დამკვირვებელთა სრულფასოვან მუშაობას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ამომრჩევლების მიერ ხმის მიცემის წესების არცოდნა. ისინი ხშირად საჭიროებდნენ დახმარებას საარჩევნო კაბინაში ხმის მიცემის პროცედურის შესასრულებლად, რა შემთხვევაშიც ხდებოდა სხვა ამომრჩევლების მიერ დახმარება კანონით განსაზღვრული წესით. გარდა ამისა, ამომრჩევლებს ხშირად სჭირდებოდათ მითითება, თუ რა ფორმით უნდა დაეკეცათ ბიულეტენი, ესარგებლათ კონვერტით და სხვ. მსგავსი მითითებები ხშირად ქმნიდა არეულობას უბანზე, რადგანაც ასეთ ამომრჩევლებს ხშირად კომისიის წევრები და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები აძლევდნენ მითითებებს, რომლებიც არ იყვნენ ამისათვის უფლებამოსილი პირები. საარჩევნო პროცესის ჯანსაღ გარემოში გამართვისა და დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია გააქტიურდეს მუშაობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ამომრჩევლეთა ცოდნის ამაღლების მიმართულებით ხმის მიცემის წესებთან და არჩევნების ჩატარების ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით>

საგარეჯოს N11 ოლქში დაიწერა ერთი საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სოფელ იორმუღანლოს N42 უბანზე დაფიქსირებულ მნიშვნელოვან დარღვევას, სადაც ხმის დათვლის პროცესში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ კონვერტების გარკვეული რაოდენობა, რომლებშიც ბიულეტენები იყო მოთავსებული, კალმით იყო მონიშნული. უნდა აღინიშნოს, რომ კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესში ერთ-ერთმა დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ კონვერტებზე კალმით მონიშვნებს აკეთებდა საარჩევნო ყუთის მეთვალყურე. აღნიშნულმა მეთვალყურემ ხმის დათვლის პროცესში მონიშნული კონვერტების აღმოჩენის შემდეგ აღიარა კონვერტების მონიშვნის ფაქტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლის მიერ აღნიშნული დარღვევის შესახებ საჩივრის დარეგისტრირების დროს, მან აღნიშნა: „მე ორი კონვერტი მოვხაზე, შენ ოთხი როგორ დაინახე?“ და ღიად გამოხატა აგრესია დამკვირვებლის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ იორმუღანლოს N42 უბანზე კომისიის წევრები ძალიან აგრესიული იყვნენ დამკვირვებელთა შენიშვნების მიმართ, რაც განსაკუთრებით გამძაფრდა ხმის დათვლის პროცესში ზემოაღნიშნული დარღვევის აღმოჩენის შემდეგ.

აღნიშნული დარღვევის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საჩივრით მიმართა როგორც საუბნო საარჩევნო კომისიას, ასევე საგარეჯოს N11 საოლქო კომისიას. ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივარი დაკმაყოფილდა. საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით. N42 საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამის წევრს შეეფარდა დისციპლინური სახდელი – გაფრთხილება.

პროცედურული დარღვევები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა შემდეგი სახის პროცედურული დარღვევები:

- სოფელ იორმულანლოს N42 უბანზე ამომრჩეველმა ბიულეტენი ჩააგდო საარჩევნო ყუთში კონვერტში ჩადების გარეშე. აღნიშნულის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში;
- ამომრჩეველმა ბიულეტენი კონვერტის გარეშე ჩააგდო ასევე დუზაგრამას N38 უბანზე, რაც გამოწვეული იყო ძირითადი საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის უყურადღებობით. აღნიშნული დარღვევის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში;
- სოფელ ქეშალოს N41 უბანზე რეგისტრაცია არ ჰქონდა გავლილი უბანზე მყოფ ერთ-ერთ დამკვირვებელს, რის შესახებაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში;
- სოფელ ქეშალოს N41 უბანზე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მხრიდან დაფიქსირდა დახმარების მცდელობა ხმის მიცემის პროცედურის დროს დახმარების მსურველი ამომრჩევლის მიმართ, რაც საარჩევნო კოდექსით აკრძალულია. აღნიშნულის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, იორმულანლოს N42 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ხანდაზმული ამომრჩევლის მიმართ სხვა ამომრჩევლის მხრიდან ბულინგის ფაქტი, რის შესახებაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში.

შედეგები

ადამიანის უფლებათა ცენტრი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არჩევნებს აკვირდებოდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ შემდეგ სოფლებში: იორმულანლო, ლამბალო, ქეშალო და დუზაგრამა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა აქტივობა შეადგენდა 39.72%-ს. პირველი ტურის შედეგები აღნიშნულ მუნიციპალიტეტში შემდეგნაირია: პირველ ადგილზე გავიდა დამოუკიდებელი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც მიიღო ხმების 40.27% (7174 ხმა), ხოლო მეორე ადგილზე გავიდა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე, რომელმაც აიღო ხმების 36.66% (6 530 ხმა).

• გორის მუნიციპალიტეტი

ძირითადი ტენდენციები

გორის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა პროცედურული ხასიათის სხვადასხვა დარღვევები, რომლებიც დამკვირვებლების მითითების შემდეგ მალევე აღმოიფხვრა. აღნიშნული დარღვევების შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები აფიქსირებდნენ შენიშვნებს ჩანაწერთა წიგნში. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გორის მუნიციპალიტეტში არ დაწერილა საჩივარი, რადგანაც არ დაფიქსირებულა ისეთი სახის დარღვევები, რომლებზეც კომპეტენციის ფარგლებში არ მომხდარა რეაგირება თავმჯდომარის მხრიდან ან რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე. აღსანიშნავია, რომ უბნის თავმჯდომარეები იყვნენ ღია და აქტიურად თანამშრომლობდნენ დამკვირვებლებთან, ითვალისწინებდნენ მათ კანონიერ შენიშვნებს და უმოკლეს ვადაში ახდენდნენ რეაგირებას. კვლავ პრობლემატურია კომისიის წევრთა არასათანადო კვალიფიკაცია. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ისინი ვერ ახერხებდნენ დარღვევების იდენტიფიცირებას, ხოლო იდენტიფიცირების შემთხვევაში არ ჰქონდათ ცოდნა შესაბამისი რეაგირების გზების შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტში, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, კენჭისყრის შენობის გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე არასამსახურებრივი ავტომანქანებით იმყოფებოდნენ. მათი ყოფნა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე არ იყო განპირობებული კონკრეტული საჭიროებით. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაში, შეკითხვაზე, თუ რატომ იმყოფებოდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე, პოლიციის მუშაკებმა უპასუხეს, რომ მათ ჰქონდათ ბრძანება და ასევე უფლებაც, რამდენადაც ის ტერიტორია, სადაც იდგნენ, არ წარმოადგენდა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობაში არის ბუნდოვანება. კერძოდ, საარჩევნო კოდექსი გუსტად არ განსაზღვრავს, თუ რა მანძილი წარმოადგენს უბნის მიმდებარე ტერიტორიას.

მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებით შესაბამისი განსაზღვრების არარსებობა შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის განმარტებით, შენობის გარეთ ტერიტორიაზე შეზღუდვები ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული და საუბნო საარჩევნო კომისიებს არ აქვთ ამ ტერიტორიაზე არსებულ დარღვევებზე

რეაგირების შესაძლებლობა¹⁸. თუმცა, საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია გარკვეული რეგულაციები, რომლებიც პოლიციის მუშაკთა ამ ტერიტორიაზე ყოფნის საკითხს ეხება. კერძოდ, საარჩევნო კოდექსში არსებობს ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებში შეუძლია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიძახოს პოლიციის მუშაკები. ასეთი შემთხვევებია:

- როდესაც საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ წესრიგს;
- როდესაც საფრთხე ექმნება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას¹⁹.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას. პოლიციის მუშაკები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იმყოფებოდნენ საარჩევნო შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნისა და თანხმობის გარეშე. კერძოდ, როდესაც, ეს სრულიად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის ან დაცვისათვის²⁰. გორის მუნიციპალიტეტში საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის მუშაკების ყოფნა არ იყო განპირობებული მსგავსი გარემოებებით, რადგანაც ამ ტერიტორიაზე არ შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი საფრთხე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის. შესაბამისად, პოლიციელთა ამ ტერიტორიაზე ყოფნა არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. რაც შეეხება გარკვეულ შემთხვევებში პოლიციელთა აპელირებას, რომ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია არ წარმოადგენდა მიმდებარე ტერიტორიას, მნიშვნელოვანია, საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს,

¹⁸ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის განცხადება საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით:

<http://cesko.ge/geo/list/show/12456-saqartvelos-saarchevno-administraciis-gancxadeba-saqartvelos-parlamentshi-inicirebul-sakanonmdeblo-cvlibebtan-dakavshirebit-15605>

¹⁹ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59, ქვეპუნქტი 6:

<http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi>

²⁰ საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59, ქვეპუნქტი 7:

<http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi>

მუსტად რა მანძილი წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიას, რათა ამ საკითხზე არ იყოს ბუნდოვანება და დაცული იყოს სამართლებრივი სიცხადის პრინციპი.

საარჩევნო უბნების უმრავლესობის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ე.წ. კოორდინატორები, რომლებიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ ახორციელებდნენ ამომრჩეველთა მობილიზებას, კერძოდ, აღრიცხავდნენ უბანზე მოსულ ამომრჩევლებს, ასევე ახორციელებდნენ აგიტაციას. აგიტატორებმა რამდენიმე უბანზე „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო ნომერიც გააკრეს²¹.

ქალაქ გორის N10 საჯარო სკოლაში გათავსებული იყო ორი საარჩევნო უბანი - N96 და N22. აღნიშნული საარჩევნო უბნების შესასვლელში, ეზოში იდგნენ „ქართული ოცნების“ კოორდინატორები, რომლებიც უბანზე შესულ ამომრჩეველს ეკითხებოდნენ, თუ ვის აძლევდნენ ხმას და მოუწოდებდნენ, რომ დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილისთვის მიეცათ ხმა, ხოლო უბნიდან გამოსულ ამომრჩევლებთან კვლავ ამოწმებდნენ, თუ ვის მისცეს ხმა. აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენის კონტროლს და ასევე ნების თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას.

ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც უბანზე მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დამკვირვებლები სინამდვილეში წარმოადგენდნენ კონკრეტული პარტიის მხარდაჭერ პირებს და ღიად გამოხატავდნენ თავიანთ მხარდაჭერას შესაბამისი პარტიის მიმართ. მაგალითად, ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“, რომელთა დამკვირვებლები აქტიურობდნენ როგორც უბანზე, ასევე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე და მხარდაჭერას გამოხატავდნენ „ქართული ოცნებისა“ და მის მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მიმართ. ტირქნისის N62 უბანზე მყოფმა დამკვირვებელმა, რომელიც წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიას“ გააკრა პლაკატი 48 ნომრის გამოსახულებით უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მავთულის ბადის ღობეზე, რომლებიც შემდეგ სხვა პირებმა ჩამოხსნეს. აღნიშნული პირის ქმედებებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში დაწერა შენიშვნა.

²¹ „საარჩევნო უბნებთან „ქართული ოცნების“ აგიტატორები აქტიურობენ“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19715&lang=geo>

პროცედურული დარღვევები

გორის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა შემდეგი სახის პროცედურული დარღვევები:

- ფხვენისის N74 უბანზე რეგისტრატორებთან გვარის პირველი ასოების ნაცვლად მითითებული იყო ციფრები. ამომრჩეველს აუცილებლად უნდა სცოდნოდა საკუთარი რიგითი ნომერი ერთიან სიაში, რათა მოეხდინა ორიენტირება, თუ რომელ რეგისტრატორთან გაეარა რეგისტრაცია. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნული დარღვევის შესახებ მიუთითა კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, იგი არჩევნებს ყოველთვის ასე ატარებს და ახლა ასოების მითითებით აერეოდა რეგისტრატორებისთვის გადაცემული ამომრჩეველთა სიები, რისი დალაგებაც დროს მოითხოვდა, რის გამოც შეფერხდებოდა საარჩევნო პროცესი. აღნიშნული დარღვევა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა ჩანაწერთა წიგნში;

- კარალეთის N49 უბანზე, რეგისტრატორების უკან იდგნენ დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები, რის გამოც იქმნებოდა მათ მიერ ამომრჩეველთა პირადი მონაცემების დამუშავების საფრთხე. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ფაქტებს ხშირად ჰქონდა ადგილი 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე²², რაც ხელს უშლიდა რეგისტრატორთა მუშაობას, ასევე ხელმისაწვდომს ხდიდა ამომრჩეველთა პირად ინფორმაციას არაუფლებამოსილი პირებისათვის. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მიმართ, კარალეთის N49 უბანზე აღნიშნული დარღვევა აღმოიფხვრა;

- N62 საარჩევნო უბანზე გამუდმებით ფიქსირდებოდა ფაქტი, როდესაც კომისიის წევრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ წილისყრით დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად ისე, რომ ზემოაღნიშნული არ ფიქსირდებოდა ჩანაწერთა წიგნში, როგორც ამას საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს. აღნიშნულის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა სიტყვიერად მიუთითა კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს;

- ტირძნისის N62 უბანზე ერთ სარეგისტრაციო მაგიდასთან დაფიქსირდა 3 და მეტი ამომრჩეველი. საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამომრჩევლისათვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან დაუშვებელია ორზე მეტი ამომრჩევლის ყოფნა²³.

²² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღესთან დაკავშირებით:

<https://gyla.ge/ge/post/saias-shefaseba-2017-tslis-adgilobriv-tvitmartvelobis-archevnebis-dqhestan-dakavshirebitN%sthash.TXQ60Fnr.dpbs>

²³ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 65, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“:

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის სიტყვიერი შენიშვნის შემდეგ თავმჯდომარემ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა;

- ტირძნისის N62 უბანზე კენჭისყრის პროცესში სადემონსტრაციო ოქმში არ იყო ასახული უბანზე მიღებული ბიულეტენების რაოდენობა. აღნიშნული მონაცემი სადემონსტრაციო ოქმში უნდა მიეთითოს კენჭისყრის დაწყებამდე²⁴. დამკვირვებლის მითითებისთანავე მდივანმა აღმოფხვრა დარღვევა და შეიტანა მონაცემები ოქმში;

- ფხვენისის N74 უბანზე სადემონსტრაციო ოქმში კენჭისყრის დროს არ იყო მითითებული საპრემიდენტო კანდიდატთა ვინაობები და საარჩევნო ნომრები. საარჩევნო კოდექსის თანახმად, აღნიშნული მონაცემი სადემონსტრაციო ოქმში უნდა მიეთითოს კენჭისყრის დაწყებამდე. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითებისთანავე მდივანმა აღმოფხვრა დარღვევა და შეიტანა მონაცემები ოქმში;

- ტირძნისის N62 უბანზე საარჩევნო კაბინასთან დაფიქსირდა ორი ამომრჩეველი. დამკვირვებლის მითითების შემდეგ მეორე ამომრჩეველმა ვერ შეძლო კაბინაში შესვლა. აღნიშნული ხარვეზი წარმოადგენს დარღვევას, რადგანაც საარჩევნო კოდექსით, ფარული კენჭისყრის კაბინაში ორი პირი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი და საჭიროებს სხვა პირის დახმარებას. თუმცა, N62 უბანზე დაფიქსირებული შემთხვევა არ წარმოადგენდა მსგავს შემთხვევას.

შედეგები

ადამიანის უფლებათა ცენტრი გორის მუნიციპალიტეტში არჩევნებს აკვირდებოდა კონფლიქტისპირა სოფლებში - ტირძნისში, ტყვიავსა და ნიქოზში. გორის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა აქტივობა შეადგენდა 45.58%-ს. პირველი ტურის შედეგები აღნიშნულ მუნიციპალიტეტში შემდეგნაირია: პირველ ადგილზე გავიდა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე, რომელმაც მიიღო ხმების 42.5% (20 994 ხმა), ხოლო მეორე ადგილზე გავიდა დამოუკიდებელი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც მხარს უჭერდა მმართველი პარტია „ქართული ოცნება“. აღნიშნულმა კანდიდატმა აიღო ხმების 34.61% (17 099 ხმა).

<http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi>

²⁴ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61:

<http://cesko.ge/geo/static/1638/saarchevno-kodeqsi>

• მარნეულის მუნიციპალიტეტი

ძირითადი ტენდენციები

მარნეულის მუნიციპალიტეტში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს, ძირითადად, ჰქონდა პროცედურული ხასიათი, რაც განპირობებული იყო კომისიის წევრების მიერ საარჩევნო წესების არასათანადო ცოდნით. აღნიშნული დარღვევების შესახებ დამკვირვებელთა მითითებების შემდეგ, თავმჯდომარე და კომისიის წევრები რეაგირებდნენ ადეკვატურად და აღმოფხვრიდნენ დარღვევებს. არ დაფიქსირებულა ისეთი დარღვევები, რომლებიც არ გამოსწორებულა და რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა შედეგებზე. შესაბამისად, საარჩევნო ოლქში საჩივარი არ დაწერილა.

მარნეულის მუნიციპალიტეტში გარკვეულ უბნებზე პრობლემას წარმოადგენდა არასათანადო სივრცის არსებობა. მაგალითად, ქალაქ მარნეულის N68 საარჩევნო უბანზე არ იყო პროცესის შესაბამისი სარეგისტრაციო მაგიდები. რეგისტრატორები მთელი დღის მანძილზე ისხდნენ არასტანდარტულ მერხებთან და ამომრჩევლის მომსახურების დროს ძირითადად უწყვედათ ფეხზე ადგომა და ამგვარად დოკუმენტაციის მიწოდება. საარჩევნო გარემოსთვის სრულიად შეუსაბამო ინფრასტრუქტურა, მძიმე სუნი და გარემო იყო ასევე სოფელ საბირკენტში, N12 საარჩევნო უბანზე.



სოფელი საბირკენტი, N12 საარჩევნო უბანი

მარნეულის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნებზე დაფიქსირდა ე.წ. კოორდინატორების აქტიურობა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლებიც

ითვლიდნენ ამომრჩეველთა რაოდენობას. მსგავსი ფაქტები, ძირითადად, კომისიის თავმჯდომარეების რეაგირების გარეშე რჩებოდა. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ქალაქ მარნეულის N68 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერებს რამდენჯერმე დაატოვებინა უბნის მიმდებარე ტერიტორია, რათა ხელი არ შეშლოდა საარჩევნო პროცესს, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

სოფელ საბირკენტის N12 საარჩევნო უბანზე, საარჩევნო უბნის მიმდებარედ მთელი დღის განმავლობაში შეინიშნებოდა ამომრჩეველთა მობილიზება, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ წარმომადგენელი ხვდებოდა საარჩევნო უბანზე მიკროავტობუსით მოყვანილ ამომრჩეველებს და უბნის შესასვლელამდე აცილებდა მათ. აღნიშნულმა მიკროავტობუსმა ამომრჩეველები უბანზე დაახლოებით ხუთჯერ მოიყვანა. ყველა შემთხვევაში აღნიშნული მიკროავტობუსით მოყვანილ ამომრჩეველებს აქტიური დახმარება და ორგანიზება გაუწია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ წარმომადგენელმა. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა შენიშვნა მისცა „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“-ს წარმომადგენელს, თუმცა ის აქტიურად განაგრძობდა ამომრჩეველთა მობილიზაციასა და აგიტაციას.



აღნიშნული მიკროავტობუსით მოყვანულ სოფელ საბირკენტის N12 უბანზე ამომრჩეველები

მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქში, საბირკენტის N12 საარჩევნო უბანზე აგიტაციას ეწეოდა ასევე საპრეზიდენტო კანდიდატის, დავით ბაქრაძის წარმომადგენელი. უბანზე შესვლისას მას რეგისტრაცია არ გაუვლია, რაზეც დამკვირვებლებმა მისცეს შენიშვნა. შენიშვნამ მისი აგრესია გამოიწვია. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მოწოდების შემდეგ მან რეგისტრაცია გაიარა, ვიდეოკამერა დაამონტაჟა და საარჩევნო უბანი დატოვა. მანამდე მან უბანზე მყოფ ამომრჩევლებს მოუწოდა, ხმა დავით ბაქრაძისთვის მიეცათ.

პროცედურული დარღვევები

მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა შემდეგი ხასიათის პროცედურული დარღვევები:

- მარნეულის N22 ოლქის N68 საარჩევნო უბანზე დილის 7:30 წუთზე უბანზე არ იყო ჩატარებული წილისყრის პროცედურები კომისიის წევრებს შორის მათი ფუნქციების გამოვლენის მიზნით. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების შეკითხვაზე, თუ რა იყო აღნიშნულის მიზეზი, კომისიის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ფუნქციები მათ შორის გადანაწილდა ზეპირი შეთანხმებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მითითებით, ფუნქციები უნდა გადანაწილებულიყო არა ზეპირი შეთანხმებით, არამედ კანონით დადგენილი წილისყრის პროცედურით. კომისიის წევრებმა გაითვალისწინეს აღნიშნული მითითება, ჩაატარეს წილისყრის პროცედურა კანონით დადგენილი წესის თანახმად და გადაინაწილეს სხვადასხვა ფუნქციები;

- მარნეულის N22 ოლქის N68 საარჩევნო უბანზე წილისყრის პროცედურის დაწყებისას უბანზე იმყოფებოდა ორი არაუფლებამოსილი პირი - დაცვის პოლიციის თანამშრომელი და მოქალაქე, რომელსაც არ ჰქონდა ბეჯი, მაგრამ აცხადებდა რომ საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის წარმომადგენელი იყო. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მოთხოვნის შემდეგ, აღნიშნულმა პირებმა დატოვეს უბანი. წილისყრის პროცედურის გამართვისას, უბანზე ასევე შემოვიდა შსს პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც სურდა დასწრებოდა პროცედურას, თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ მას უბანი დაატოვებინა;

- მარნეულის N22 ოლქის სოფელ თაზაკენდის N13 საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის პროცესში სადემონსტრაციო ოქმი არ იყო საჯაროდ განთავსებული უბანში. აღნიშნულის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მიმართა კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვა სადემონსტრაციო ოქმის დროული განთავსება საჯაროდ

და შევსება. უბანზე შემდეგი მისვლისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს სადემონსტრაციო ოქმი განთავსებული დახვდა უბნის გარეთ ტერიტორიაზე ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიმდებარედ. დამკვირვებელმა განუმარტა კომისიის თავმჯდომარეს, რომ სადემონსტრაციო ოქმი უნდა განეთავსებინა საარჩევნო უბანზე და არა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. დამკვირვებლის მითითების შემდეგ სადემონსტრაციო ოქმი განთავსებულ იქნა უბნის ტერიტორიაზე;

- მარნეულის N22 ოლქის სოფელ თაბაკენდის N13 საარჩევნო უბანზე, ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა შესაბამისი შემოწმების გარეშე შემოუშვა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი წევრი, რომელიც არ წარმოადგენდა N13 საარჩევნო უბნის ამომრჩეველს. შესაბამისად, მას არ გააჩნდა შენობაში ყოფნის უფლებამოსილება. კომისიის წევრებმა და დამკვირვებლებმა მოითხოვეს, აღნიშნულ პირს დაეტოვებინა შენობა, რასაც მოჰყვა სიტყვიერი შელაპარაკება. საბოლოოდ, საკრებულოს წევრმა დატოვა კენჭისყრის შენობა;

- მარნეულის N22 ოლქის სოფელ თაბაკენდის N13 საარჩევნო უბანზე, რეგისტრატორმა ერთ-ერთი ამომრჩეველი რეგისტრაციაში გაატარა, კერძოდ, ხელი მოაწერინა სხვა პირის გრაფაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ აღნიშნული დარღვევის დაფიქსირებისა და გაჟღერების შემდეგ, რეგისტრატორმა განმარტა, რომ მას ნომრები აერია. აღნიშნული ფაქტის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საარჩევნო უბანზე დაწერა საჩივარი;

- სოფელ კაპანახჩის N34 უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ კომისიის მდივანმა დაიწყო შემაჯამებელი ოქმის შევსება წინასწარ, უბნის დახურვამდე 2 საათით ადრე. აღნიშნულ ოქმს ხელს აწერდნენ ასევე კომისიის წევრები მაშინ როცა ოქმში ჯერ არ იყო შეყვანილი არანაირი მონაცემი. როდესაც ამის შესახებ განმარტება მოითხოვა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა, კომისიის მდივანმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმომადგენელმა შავ მონაცემს და აუცილებლად დაიხეოდა ძირითადი ოქმის შევსების შემდეგ. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ, კომისიის მდივანმა აღნიშნული ასლი გაანადგურა.

შედეგები

ადამიანის უფლებათა ცენტრი მარნეულის მუნიციპალიტეტში არჩევნებს აკვირდებოდა ქალაქ მარნეულსა და შემდეგ სოფლებში: საბირკენტი, ალგეთი, თაბაკენდი, კაპანახჩი, პირველი ქესალო, ყიზილაჯლო. პირველი ტურის შედეგების თანახმად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტში პირველ ადგილზე გავიდა დამოუკიდებელი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც აიღო ხმების 47.57% (16 735 ხმა). მეორე ადგილზე გავიდა

„გაერთიანებული ოპოზიციის“ კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე, რომელმაც მიიღო ხმების 39.22% (13 796 ხმა). აღნიშნულ მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა აქტივობა შეადგენდა 36.47%-ს (36 173 ამომრჩეველს).

- ახმეტის მუნიციპალიტეტი

ძირითადი ტენდენციები

პანკისის ხეობაში, ძირითადად, არჩევნებმა ჩაიარა მშვიდ ვითარებაში. ადგილი არ ჰქონია ექსცესებს. არ ყოფილა არსებითი ხასიათის დარღვევები, რომელიც ზეგავლენას იქონიებდა შედეგებზე. თუმცა, სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, აქაც დაფიქსირდა „ქართული ოცნებისა“ და მიერ მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერების განსაკუთრებული აქტიურობა საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, სოფელ დუისის N5 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დღის მეორე ნახევარში განსაკუთრებით აქტიურობდნენ პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლები. ერთსა და იმავე ადამიანებს საარჩევნო უბანზე თავიანთი ავტომანქანებით მოჰყავდათ ამომრჩეველები, უფრო მეტად, ხანდაბმული პირები. ამ კუთხით აქტიურობდა ასევე სოფელ დუისის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი, რომელსაც საკუთარი ავტომანქანით მოჰყავდა უბანზე ამომრჩეველები.

შედეგები

ადამიანის უფლებათა ცენტრი ახმეტის მუნიციპალიტეტში არჩევნებს აკვირდებოდა პანკისის ხეობის შემდეგ სოფლებში - დუისი, ჯოყოლო, ხალაწანი და ომალო. (ამავე უბნებზეა გადანაწილებული სოფლების, ბირკიანისა და დუმასტურის მოსახლეობა). პირველი ტურის შედეგების თანახმად, ახმეტის მუნიციპალიტეტში პირველ ადგილზე გავიდა „გაერთიანებული ოპოზიციის“ საპრეზიდენტო კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე, რომელმაც აიღო ხმების 45.99% (6 220 ხმა), ხოლო მეორე ადგილზე გავიდა დამოუკიდებელი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც მიიღო ხმების 33.25% (4495 ხმა). ახმეტის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა აქტივობა შეადგენდა 46.86%-ს.

4. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ძირითადი ტენდენციები

აგიტაცია და ამომრჩეველთა მობილიზება საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირებულ მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენდა მმართველი პარტიის „ქართული ოცნებისა“ და მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერების განსაკუთრებული აქტიურობა, ამომრჩეველთა მობილიზება და აგიტაცია საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს პრაქტიკას ჰქონდა ადგილი ასევე გასულ წლებში, კერძოდ, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. 28 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ საგარეჯოს, მარნეულის, ახმეტისა და გორის მუნიციპალიტეტებში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ე.წ. კოორდინატორები და აგიტატორები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე ახორციელებდნენ აგიტაციას, ასევე ქმედებებს, რომელიც ზღუდავდა ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენასა და წარმოადგენდა კონტროლს ნების გამოვლენაზე. ასეთ ქმედებებს წარმოადგენდა: საარჩევნო უბნებზე ხმის მისაცემად მოსული ამომრჩევლების ვინაობის გამორკვევა, აღრიცხვა, ასევე გამორკვევა, თუ ვის მისცეს ამომრჩევლებმა ხმები და აღნიშნული ინფორმაციის წერილობით მონიშვნა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ასეთი პირები პირადობის მოწმობებს ართმევდნენ ამომრჩევლებს, ეძებდნენ მათ რიგით ნომერს საარჩევნო უბნის მიმდებარე ოთახში კედელზე გამოკრულ სიებში, ხმამაღლა იძახდნენ მათ ნომერს, აძლევდნენ მათ ფურცელზე, რომელზეც აკეთებდნენ გარკვეულ აღნიშვნებს და მიუძღვებოდნენ საარჩევნო უბნის შესასვლელთან. დაფიქსირდა ასევე შემთხვევები, როდესაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ პირებს ორგანიზებული ფორმით, მათ შორის, მინი-ავტობუსით, ასევე საკუთარი ავტომანქანებით მოჰყვდათ უბანზე ამომრჩევლები.

აღნიშნული ქმედებები მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები, დაზუსტდეს გარკვეული ნორმები და ნათლად აიკრძალოს ზემოაღნიშნული ქმედებები, რაც ხელს შეუწყობს მათ პრევენციას მომავალში.

პარტიების მხარდამჭერი არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციები

გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებაში ნაკლებად ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების არსებობა, რომლებიც სინამდვილეში კონკრეტული პარტიის მხარდამჭერებს წარმოადგენენ და მის მიმართ ღიად გამოხატავენ მხარდამჭერას. 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“, რომელთა დამკვირვებლები აქტიურობდნენ როგორც უბანზე, ასევე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახდენდნენ აგიტაციას და ამომრჩეველთა მობილიზაციას.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არასათანადო კვალიფიკაცია და პროცედურული დარღვევები

პოლიტიურ ტენდენციას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ, უმეტესწილად, საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების შენიშვნებს, ადეკვატურად რეაგირებდნენ და მალევე აღმოფხვრიდნენ დარღვევებს. თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ პრობლემას წარმოადგენს საარჩევნო კომისიის წევრების დაბალი კვალიფიკაცია. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირებული დარღვევების უმრავლესობა სწორედ კომისიის წევრთა დაბალი კვალიფიკაციითა და საარჩევნო პროცედურების არასათანადო ცოდნით იყო გამოწვეული. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში კომისიის წევრთა არაკომპეტენტურობის გამო საარჩევნო უბნებზე იქმნებოდა დაძაბულობა და ზოგჯერ - კონფლიქტებიც. საარჩევნო კომისიის წევრთა დაბალი კვალიფიკაცია და პროცედურული საკითხების არცოდნა პრობლემას წარმოადგენდა ასევე გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში.

ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის წესების არცოდნა

კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის წესების არცოდნა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი პრობლემები დაფიქსირდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, ამომრჩევლები ხშირად საჭიროებდნენ დახმარებას საარჩევნო პროცედურების შესასრულებლად. მსგავსი პრობლემები ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ სისტემატურად ფიქსირდებოდა წარსულში გამართულ არჩევნებზეც. მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კუთხით გატარდეს უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივრები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის მიმდინარეობისას სულ დაარეგისტრირეს 2 საჩივარი, ასევე 1 საჩივარი საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიაში და რამდენიმე შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში. საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი საჩივარი შეეხებოდა იორმულანლოს N42 უბანზე კომისიის წევრის მიერ სპეციალური კონვერტების კალმით მონიშვნის ფაქტს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კომისიის შესაბამის წევრს საგარეჯოს N11 საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, დაეკისრა დისციპლინური სახდელი – გაფრთხილება.

5. რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- ცვლილება შევიდეს საარჩევნო კოდექსში, რომელიც განმარტავს, თუ რა წარმოადგენს უბნის მიმდებარე ტერიტორიას. აღნიშნულ ტერიტორიად მიჩნეული უნდა იყოს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორია, 20 მეტრის რადიუსით;
- ცვლილება შევიდეს საარჩევნო კოდექსში და უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე აიკრძალოს აგიტაცია, კერძოდ, ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს საარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, საარჩევნო მასალის გავრცელება და მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა;
- ცვლილება შევიდეს საარჩევნო კოდექსში და განისაზღვროს კონკრეტული თანამდებობა, რომლის უფლებამოსილების საგანი იქნება უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალულ ქმედებებზე თვალყურის დევნა და შესაბამისი რეაგირება; ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის აღნიშნული პოზიციის დასაფინანსებლად გამოიყოს შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები;
- საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს ცნებები - ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვა და მისი კონტროლი. კანონმდებლობით აიკრძალოს აღნიშნული ქმედებები საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. აკრძალულ ქმედებებს შორის მიჩნეულ იქნას საარჩევნო უბნებზე ხმის მისაცემად მოსული ამომრჩევლების ვინაობის აღრიცხვა; აგრეთვე, საარჩევნო უბნებზე ხმის მისაცემად მოსული ამომრჩევლებისაგან გამორკვევა და აღრიცხვა, თუ ვის მისცეს ხმა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე, წარმოადგინოს განმარტებები/ინსტრუქციები, თუ კონკრეტულად რა სახის ქმედებები შესაძლოა წარმოადგენდეს ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, ნების თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვასა და კონტროლს, რაც აკრძალულია საარჩევნო კოდექსით;

- საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და მიმართოს შსს-ს რეაგირებისათვის, როდესაც საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე ამომრჩეველთა მიმართ ხორციელდება საარჩევნო კოდექსით აკრძალული ქმედებები მათ შორის, ნების თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვა და მისი კონტროლი;

- დამატებითი ღონისძიებები გატარდეს ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონის გაზრდის, ხმის მიცემისა და საარჩევნო პროცედურების ცოდნის, სამოქალაქო განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;

- გააქტიურდეს მუშაობა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით საარჩევნო კანონმდებლობისა და პროცედურების კუთხით. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, აუცილებელია ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება უწყვეტ რეჟიმში. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს, რათა მომავალში კომისიის წევრთა არასათანადო მომზადება აღარ გახდეს კანონდარღვევათა საფუძველი;

- სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კენჭისყრის შენობის მოწყობის საკითხს. გარემო, სადაც კენჭისყრა მიმდინარეობს, უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კენჭისყრის პროცესის გამართვისთვის შეირჩეს შესაბამისი სივრცე;

- გააქტიურდეს ამომრჩეველთა ინფორმირება და განხორციელდეს აქტივობები მათი ცნობიერებისა და ცოდნის ასამაღლებლად არჩევნების მნიშვნელობისა, ძირითადი საარჩევნო პრინციპებისა და ხმის მიცემის წესების შესახებ, მათ შორის სატელევიზიო რეკლამების მეშვეობით. უზრუნველყოფილი იქნას აღნიშნული აქტივობები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგებ ენებზე, მათ შორის, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- რეაგირება მოახდინოს უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ამომრჩეველთა მიმართ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, მათ შორის, მათი ნების თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვასა და მის კონტროლზე.

პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მხარდამჭერ პირებს:

- მოუწოდოს და ძალისხმევა გააქტიუროს, რათა მათმა მხარდამჭერებმა თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე არაკანონიერ ზემოქმედებას და ამომრჩეველთა ხმების კონტროლს.